

შპს „ვაინმენ შპს „

(ს/ნ 203 868 724)

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისათვის

დამტკიცების თარიღი: 30/09/2020წ.

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
სააღრიცხვო პოლიტიკა -განმარტებითი შენიშვნები	7-23

დირექტორი: ალექსანდრე ჯორჯაძე

ბუღალტერი: ეკატერინე ლომიაშვილი

ა. ჯორჯაძე
ეკატერინე ლომიაშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	6 525 527	4 990 891
საინვესტიციო ქონება		6 525 527	4 990 891
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	186 074	216 982
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	2 518 835	1 641 122
საექვო ვალების რეზერვი	6	(534 538)	(534 538)
მოთხოვნები ბიუჯეტის წინაშე		235 473	895 647
მარაგები	7	6 417 273	6 761 236
მარაგების გაუფასურების რეზერვი		(459 131)	(459 131)
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		8 363 986	8 521 318
მთლიანი აქტივები		14 889 513	13 512 208
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		7 382 742	5 962 865
დაფინანსება სხვა რეზერვები		5 465	5 465
		7 390 207	5 970 330
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	4 047 520	3 920 632
ფინანსური იჯარა	8	163 834	266 925
		4 211 354	4 187 556
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	1 207 712	1 043 358
ფინანსური იჯარა იჯარის მიმდინარე წილი	8	103 089	88 912
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1 656 199	1 870 248
საგადასახადო ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტი		320 951	351 805
გადასახდელი დივიდენდი		3 287 952	3 354 322
მთლიანი ვალდებულებები		7 499 306	7 541 878
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		14 889 512	13 512 208

დირექტორი: ალექსანდრე ჯორჯაძე

ბუღალტერი: კკატერინე ლომიაშვილი

ა. ჯორჯაძე

კკატერინე ლომიაშვილი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	11	8 925 183	10 472 688
თვითღირებულება	16	(5 697 949)	(7 526 468)
საერთო მოგება		3 227 234	2 946 221
სხვა შემოსავლები	12	87 730	144 547
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1 002 914)	(874 792)
მიწოდების დანახარჯები	16	(39 571)	(123 704)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(291 671)	(195 020)
სხვა ხარჯები	14	(13 483)	(321 255)
საოპერაციო მოგება		1 967 326	1 575 997
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	15	(490 982)	(378 616)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(490 982)	(378 616)
მოგება დაბეგვრამდე		1 476 344	1 197 381
მოგების გადასახადი			
პერიოდის მოგება		1 476 344	1 197 381
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი			

დირექტორი: ალექსანდრე ჯორჯაძე

ბუღალტერი: ეკატერინე ლომიაშვილი

ა. ჯორჯაძე
ე. ლომიაშვილი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2019
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	
1.1 მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	7 851 599
1.2 მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4 621 516)
1.3 გაცემული ხელფასები	(709 654)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	2 520 429
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
2.1 ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(1 052 588)
2.2 ძირითადი საშუალებების გაყიდვა	
2.3 იყალოში ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით გაწული ხარჯები	(859 850)
2.4 არამატერიალური აქტივების შეძენა	(18 947)
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 931 385)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
3.1 მიღებული სესხები	1 587 532
3.2 მიღებული დაფინანსება	90 781
3.3 სესხის ძირითადი თანხის დაფარვა	(1 610 341)
3.4 სესხის პროცენტის დაფარვა	(405 750)
3.5 ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადგება	(165 959)
3.6 სხვადასხვა ფინანსური მომსახურება	(116 220)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(619 956)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(30 912)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	216 987
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	186 074

დირექტორი: ალექსანდრე ჯორჯაძე

ბუღალტერი: კკატერინე ლომიაშვილი

ა. ჯორჯაძე
კ. ლომიაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაფინანსება სხვა რეზერვები	დაგროვილი ზარალი	გაუნაწილებელი მოგება	მოთიანი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარი	2 000	5 465		7 059 560	5 970 330
2018 წლის განუწილებელი მოგების კორექტირება				(56 468)	(56 468)
მოგება წლის ბოლოს				1 476 344	1 476 344
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-		1 419 876	1 419 876
გაცემული დივიდენდი					-
აქციების გამოშვება					-
2019 წლის 31 დეკემბერი	2 000	5 465		8 479 437	7 390 206

დირექტორი: ალექსანდრე ჯორჯაძე

ბუღალტერი: ეკატერინე ლომიაშვილი

Handwritten signatures of the Director and Accountant.



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვაინმენ შპს „ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას („კომპანია“)(ს/წ 203 868 724), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გუდიაშვილის ქ. №11, ბ. №9 , ხოლო საქმიანობის ფაქტობრივი ადგილი თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #50 . საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის წარმოება ყურძნისგან და გატანა ექსპორტზე.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ალექსანდრე ჯორჯაძე, ხოლო კომპანიის პარტნიორები/დამფუძნებლები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

- ალექსანდრე ჯორჯაძე, უკრაინა PO189374 , 01008000870, -60%
- დავით მაისურაძე 20001000340 -5%
- კონსტანტინე გაგუა 01026001004-35%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა კი ძირითადად ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას.

მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
 - (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში
 - (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
 - (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მსს ფასს-ის (29-ე განყოფილება) მიზნებისათვის მოგების გადასახადი მოიცავს ყველა ადგილობრივ თუ უცხოურ გადასახადს, რომლებიც გამოითვლება დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული გადასახადის ჯამს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ მოგებას.

საბალანსო ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზა წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას აქვს მიკუთვნებული საგადასახადო მიზნებისათვის.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით.

საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომლის თანახმად საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის

ობიექტია განაწილებული მოგება. განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ წარმოიქმნება სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების გამოცხადების თარიღისთვის, ხოლო გადასახადის გადახდა, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების დროს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა განაწილებული მოგებისა არის სხვა დასაბეგრი ოპერაციები, რომლებიც მსს-ს ფასს-ის მიზნებისათვის ცალკე არ განიხილება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად. შესაბამისად, აღნიშნული ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული სხვა ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმო ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კომპანია იყენებს ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა	5 %
მანქანა-დანადგარები	20 %
ოფისის აღჭურვილობა	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა

ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ძირითადად ხორციელდება თვის ბოლო სამუშაო დღემდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აცნობა, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსის პანდემია. კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არამხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც.

მიმდინარე კრიზისი მნიშვნელოვან უარყოფითი ეკონომიკურ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტებზე, ბევრ სფეროში შემცირდა წარმოება, მოხმარება, ვაჭრობა, სამუშაო ადგილები. გაუარსდა ადამიანების კეთილდღეობა, დაწესდა შეზღუდვები თავისუფალ გადაადგილებაზე, სხვადასხვა ღირსძირების გამართვაზე და ა.შ

შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად. მოცემული ცვლადების გათვალისწინებით ზუსტი პროგნოზების გაკეთება, ფაქტობრივად შეუძლებელია.

2. საქმიანობის უწყვეტობა

ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს მომგებიანობის , ფულადი ნაკადების, ლიკვიდურობის შეფასების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს აღემატება 5 076 035 ლარით, რომელიც გულისხმობს კომპანიის უნარს მოახდინოს აქტივების სწრაფი რეალიზაცია და ვალდებულებების დროული შესრულება მიმდინარე საქმიანობის პირობებში, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას , სტაბილური ეკონომიკური გარემოს არსებობის შემთხვევაში, განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში , თუმცა ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა , ასევე მსოფლიოში არსებული გაუერესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომი დინამიკის შეფასება და პროგნოზი.

ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის შეუძლებელია კორონავირუსის პანდემიის შემდგომი განვითარების, მისი ხანგრძლივობისა და გავლენის წინასწარ ზუსტი განჭვრეტა , ასევე მსოფლიოში არსებული გაუერესებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომი დინამიკის შეფასება და პროგნოზი, აღნიშნულის მიუხედავად, როგორც მოკლევადიან (12 თვე), ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში მენეჯმენტის განზრახვას არ წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტა.

3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
01 იანვარი 2019.	148 703	1 208 088	1 846 446	3 513 735	201 925,49	364 937	105 758	7 389 592
შემოსვლა		711 484		1 149 500	63 012			1 923 996
გადაფასება								-
გასვლა								-
31 დეკემბერი 2019 წ.	148 703	1 919 572,37	1 846 446	4 663 235	264 937,51	364 937	105 758	9 313 589
ცვეთა და გაუფასურება								
01 იანვარი 2019 წ.			(105 553)	(1 943 021)	(87 215)	(240 122)	(33 707)	(2 409 618)
პერიოდის ცვეთა			(18 408)	(327 719)	(21 861)	(24 963)	(10 808)	(403 758)
გაუფასურება								
გასვლა								
31 დეკემბერი 2019 წ.		-	(123 961)	(2 270 740)	(109 075)	(265 085)	(44 515)	(2 813 376)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
01 იანვარი 2019 წ.	148 703	1 208 088	1 740 892	1 570 715	114 711	124 815	72 051	4 979 974
31 დეკემბერი 2019 წ.	148 703	1 919 572	1 722 485	2 392 496	155 862	99 852	61 243	6 500 213

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხის უზრუნველსაყოფად ძირითადი საშუალებები სს „პროგრედიტ ბანკის“ სასარგებლოდ დატვირთულია გირავნობა/იპოთეკით.
- მანქანა-დანადგარების კლასში განცალკევებულად არის გამჟღავნებული ლიზინგით აღებული მანქანა დანადგარების წმინდა საბალანსო ღირებულება.

არამატერიალური აქტივები	
01 იანვარი 2019.	16 718
შემოსვლა	16 034
გადაფასება	
გასვლა	
31 დეკემბერი 2019 წ	32 752
ცვეთა და გაუფასურება	
01 იანვარი 2019.	(5 802)
პერიოდის ცვეთა	(1 637)
გაუფასურება	
გასვლა	
31 დეკემბერი 2019 წ	(7 439)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
01 იანვარი 2019.	10 916
31 დეკემბერი 2019 წ	25 313

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	186 074	216 982
სულ	186 074	216 982

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1 924 440	828 109
გადახდილი ავანსები	59 858	278 476
მოთხოვნები ბიუჯეტის წინაშე	235 473	895 647
სულ	2 219 770	2 002 231

2019 წელს კომპანიამ განახორციელა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდების გადახდის შედეგად წარმოშობილი ზედმეტობის გამოთხოვა და დაბრუნება 720 000 ლარის ოდენობით.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019	2018
ნედლეული და მასალები	5 676 254	5 927 645
მზა პროდუქცია	281 354	373 554
სხვა მარაგები	535	906
სულ	5 958 142	6 302 105

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 5 697 949 ლარი.

7. ფინანსური იჯარის ვალდებულებები

	2019	2018
გრძელვადიანი		266
ფინანსური იჯარის ვალდებულება	163 834	925
სულ	163 834	266 925

	2019	2018
მოკლევადიანი		
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	103 089	88 912
სულ	103 089	88 912

სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	266 923	355 836
------------------------------------	---------	---------

ფინანსური იჯარის მომავალი საიჯარო გადასახდელები			
1 წელზე ნაკლები		136 327	136 327
1-დან 5 წლის ჩათვლით		181 771	318 099
5 წელზე მეტი			
ჯამი		318 098	454 426

8. სესხები

გრძელვადიანი		2019	2018
საბანკო სესხები		3 997 520	3 676 133
სესხები ფიზიკური პირისგან		50 000	50 000
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან			194 499
		4 047 520	3 920 632

მოკლევადიანი		2019	2018
საბანკო სესხები სესხის მიმდინარე ნაწილი		1 207 712	1 043 358
სესხები ფიზიკური პირისგან			-
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან			-
		1 207 712	1 043 358
სულ სესხები		5 255 233	4 963 989

საბანკო სესხების ოდენობა , საპროცენტო განაკვეთი და მოქმედების ვადა მოცემულია დანართში(N ა). საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებითა და ასევე , ალექსანდრე ჯორჯაძისა და თინათინ ჯორჯაძის პირადი ქონებით(გარკვეული საზღაურის პირობით(ქონების ღირებულების 3,5 %)).

დანართი N ა

მოქმედების პერიოდი		საპროცენტო განაკვეთი	სესხის ოდენობა
31.08.2017	30.08.2024	6,50%	364,000.00 USD
13.09.2017	14.09.2020	6,50%	540,000.00 USD
31.08.2018	21.08.2023	7,00%	400,000.00 USD
10.09.2018	31.08.2023	7,00%	350,000.00 USD
29.03.2019	29.03.2024	7,20%	250,000.00 USD
31.08.2017	10.08.2021	0,50%	984,545.94 GEL
24.07.2018	24.07.2028	7,33%	650,000.00 USD
09.08.2019	10.08.2026	7,20%	170,000.00 USD
10.09.2019	10.09.2020	7,20%	50,000.00 USD
26.08.2019	26.08.2022	7,20%	90,000.00 USD

9.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1 575 640	1 738 935
მიღებული ავანსები	80 559	131 313
სულ	1 656 199	1 870 248

10. ამონაგები

ამონაგები	2019
საქონლის რეალიზაცია	8 894 476
მომსახურების გაწევა	30 707
სულ	8 925 183

11. სხვა შემოსავალი

	2019
ძირითადი საშუალების გასხვებისგან მიღებული წმინდა მოგება	0
სუბსიდია	87 747
სულ	87 747

12. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(291 671)
სულ	(291 671)

13. სხვა ხარჯები

	2019
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(4 128)
ქველმოქმედების ხარჯი	(9 355)
სულ	(13 483)

14. ფინანსური დანახარჯები

	2019
პროცენტი ბანკის სესხზე	(394 943)
პროცენტი ფინანსურ იჯარაზე	(50 742)
პროცენტი დამფუძნებელი ფიზიკური პირის სესხზე	(11 221)
სესხის უზრუნველყოფის საშუალებებით გამომუშავებული " მომსახურების საკომისიო"	(34 075)
სულ	(490 982)

15. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ხარჯად აღიარებულია შემდეგი მუხლები:

	2019
ხარჯად აღიარებული მარაგებისა და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(5 697 949)
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(1 002 914)
მიწოდების დანახარჯები	(39 571)
სულ	(6 740 434)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმოს ხელმძღვანელობს ალექსანდრე ჯორჯაძე(01008000870), რომელიც ფლობს წილის 60%-ს, დანარჩენ 35%-ს ფლობს კონსტანტინე გაგუა(01026001004) , ხოლო 5%-ს დავით მაისურაძე (20001000340). აღნიშნული ფიზიკურ პირები ასევე წარმოადგენენ შპს " ალექსანდრე ჯორჯაძე"-ს დამფუძნებელ ფიზიკურ პირებს(ალექსანდრე ჯორჯაძე-60 %, კონსტანტინე გაგუა 35% , დავით მაისურაძე-5 %) რომელსაც ასევე ხელმძღვანელობს ალექსანდრე ჯორჯაძე(დირექტორი). დაკავშირებულ მხარეს ასევე წარმოადგენს შპს ვაინმენ საქართველო, რომლის დირექტორია თინათინ ჯორჯაძე , ხოლო დამფუძნებლები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: 01026001004, კონსტანტინე გაგუა, 16.50%, 01008005172, ლევან ხუროძე, 16.50%,01024006627, ნიკოლოზ ბერიძე, 16.50%, 20001000340, დავით მაისურაძე, 16.50%, 01008000870, ალექსანდრე ჯორჯაძე, 17.50%, EC752778, 2721811373, იაროსლავ პავლენკო, უკრაინა, 16.50%

საქონლისა და მომსახურების შეძენა:	
საქონლის შეძენა	2019
შპს ალექსანდრე ჯორჯაძე	415 556
მომსახურების შეძენა	
თინათინ ჯორჯაძე- იჯარა	40 973
ალექსანდრე ჯორჯაძე - იჯარა	6 000
თინათინ ჯორჯაძე- სესხის უზრუნველყოფის საშუალებებით გამომუშავებული " მომსახურების საკომისიო"	26 287
ალექსანდრე ჯორჯაძე- სესხის უზრუნველყოფის საშუალებებით გამომუშავებული " მომსახურების საკომისიო"	7 789
სულ	496 604

საქონლისა და მომსახურების შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:		
		2019
შპს ალექსანდრე ჯორჯაძე		1 222 030
თინათინ ჯორჯაძე- იჯარა		(2 868)
თინათინ ჯორჯაძე- სესხის უზრუნველყოფის საშუალებებით გამომუშავებული " მომსახურების საკომისიო" დაუფარავი ნაშთები		74 966
ალექსანდრე ჯორჯაძე- სესხის უზრუნველყოფის საშუალებებით გამომუშავებული " მომსახურების საკომისიო"ს დაუფარავი ნაშთები		119 275
სულ		1 413 404

დაკავშირებული მხარეებისადმი ვალდებულების დაფარვის ვადა არ არის განსაზღვრული. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

აღსანიშნავია , რომ საწარმომ განახორციელა 2018 წლის გაუნაწილებელი მოგების კორექტირება/ შემცირება კაპიტალის ცვლილებების ამსახველ ანგარიშგებაში , რომელიც გამოწვეულ იქნა დაკავშირებულ მხარეთა პირადი ქონებით კომპანიის სესხის უზრუნველყოფით გამომუშავებული, 56 468 ლარის ოდენობის მომსახურების საკომისიოს , ხარჯის სახით დარიცხვითა და ვალდებულების აღიარებით.

17. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, ავტოსანტრანსპორტო საშუალებები და ღვინის წარმოების ქარხანა. იჯარის ვადა ერთი წელი და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:	2019
ქარხნის იჯარა	205120
სატრანსპორტო საშუალებების იჯარა	15000
საოფისე ფართის იჯარა	13716
სულ	233 836

წლის ბოლოს კომპანიას გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებების შემდეგი დაუფარავი ნაშთები.	2019
თინათინ ჯორჯაძე იჯარა	(2 868)
ალექსანდრე ჯორჯაძე იჯარა	
სულ	(2 868)

18. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 2000 ლარს.

19. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება.

	2019
შრომის ანაზღაურება ჯამურად	245 107
სულ	245 107

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი